

# ივერია

გაზეთის ღირს:

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12	10	6	6
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შუბრი.

რედაქცია:  
ნიკოლოზის ქუჩა, 21.  
ტფალისა.  
გაზეთის დასაბარებლად:  
19 გაცხადებისა და წარმოების  
განაკვეთის საზოგადოების კანცელარია—სასა-  
ლეს ქუჩა, ბანკის ქარვასლა.  
ფასი განცხადებისა:  
ჩველბერი სტრიქონი 8 მანეთი.

ცნენა სალომე წამითლისა და ცნენა ელისაბედ წამითლი  
სა შვილებითურთ გულია აღის მწუხრებით აუწყებენ—რა გარდა-  
ცვალებას პირველი ძისა თვისისა და მეორე მუღლისა, რაჟის მა-  
ზრის მარშლისა, თანავეს ალექსანდრა მიხაილის ძის წამი-  
თლისა, სხოვენ ნეთესეთა და ნაცნობთა მომბმდნენ გამო-  
სწვენებაზედ ქუთაისის ოთხშაბათს, 13 აპრილს 9/1, საათზედ ღი-  
ლით. გვიან გასვენებენ საკუთარის სახლიდან დ. სხერტის. პანაშუ-  
დი განცხადებისად გადხდრილი იქნება ყოველ დღე—11 საათზედ  
საღამოს.

## „ივერია“

გამოცემის 1894 წელს  
იხივე პირბარათით, როგორც წინადა.

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:

ტფალისა,  
„ნიკოლოზის“ რედაქცია,  
ნიკოლოზის ქუჩა, 21.

და „პაროკიალთა შიარის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას,  
სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა,  
საფოსტო ადრესი:

ТИФЛИСЬ. Редакция „ИВЕРИЯ“.

ფილიოსი, 12 აპრილი

სახელმწიფო ბანკის შემნახველ-  
დამზოგველი კასები იმითა არის  
დაარსებული, რომ ყველა მიიღეს  
სა და ხელმოკლე კაცს დივიდენ-  
დონისძიება დაჭრავს ის ცო-  
ტადენი ფული, რომელიც ათას-  
ში ერთხელ ჩაუვარდება ხომდე  
ხელში და შეუღლიან არ დაჭარ-  
ჯოს. ასე ცოტ-ცოტაობითა, ამ-  
ბობს საფინანსო მმართველობის  
მიერ დაბეჭდილი წიგნები, რომ-  
მეღვს სახელად „ქრეფაჟა მემ-  
ნახველ-დამზოგველი კასები“, რა-  
მეფინანსებ ხნის შემდეგ მოგროვ-  
დება იმოდენა ფული, რომელიც

შეაძლებინებს დარბისა და ხელ-  
მოკლე კაცს იყიდოს საჭირო სა-  
ქონელი და იარაღი, შეაგეთოს სა-  
ხლი, გაუძღვეს ჭირსა თუ ღირსს  
და საზოგადოად იქონიოს იარაღი  
და გროში გაჭირვების დღისთვის  
სა და ამ გზით, ცოტად თუ ბევ-  
რად, განაგრავს თავისი წარმო-  
ება და მრეწველობა, ზურგი გა-  
რუბავს თავის ოჯახს.

როცა თავისუფალი ფული ხელ-  
ში აქვს კაცს, ბევრჯელ ცულ-უბ-  
რად და უსარგებლოდ შემო-  
ქარავს ხომდე და გაჭირვების  
დროს იხსნება უნდა მიჰმართოს  
და ხშირად დიდი სარგებელიც  
იხადოს. შემნახველ დამზოგველი

კასა დაარსებულია სახელმწიფო  
ბანკის მიერ იმითა, რომ მის შე-  
მუშებით დარბისა ხალხმა წერილ-  
წერილად მოაგროვოს, გადინარ-  
ჩუნოს ირთივე შუბრი, საიმივე  
ადგილს შეუნახოს და სარგებე-  
ლიც აძლიოს, რადგანც სახლში  
ან ჯიბეში ფულის შენახვა საში-  
შიც არის და არც რაიმე სარგე-  
ბელს აძლევს პატრონს. შემნახ-  
ველ დამზოგველ კასაში შეიძლე-  
ბა შეიტანოს კაცმა ხუთის შუბრი-  
დგამ დაწყებული ვიდრე ას თუ მ-  
ცხრამდე, წერილ-წერილად. შე-  
ტანილ ფულში კასა 4 სარ-  
გებულს ანუ ნასალს აძლევს ფუ-  
ლის შემტანს, ესე იგი ათი თუ მ-  
ცხრამდე შეიტანოს, წლის გასულს  
ათს თუმის სარგებლად ოთხ მა-  
ნეთს მიიღებს. წლიან ბალოს ეს  
სარგებელიც თავის მიეზტება,  
თუ გინდათ. უცხო ქვეყნებში მდებ-  
არა ხალხს უკვარს შემნახველ-  
დამზოგველ კასების შემუშავით  
ფულის მოქურჩება და მოგროვება,  
ყოველ გვირა ცოტ-ცოტა შეაქვთ  
და ამ გზით ამ თათივე შვილს  
ფულს უკრავებენ; ყმაწვილის და-  
ბადებიდან რომ დაიწყით და ყო-  
ველ გვირა თითო მანათი შეიტა-  
ნით კასაში, როდესაც ყმაწვილი  
თქვამტის წილისა შექმნება, იმას  
ბანკის თუ ოცი თუმანი ნადი ფუ-  
ლი გაუწევს.

ყოველს ფულის შემტანს წინა-  
პირველადვე კასიდგან ეძლევა გან-  
საკუთრებული რვეული, რომელ  
შიაც იწერება, თუ რამდენი ფუ-  
ლი შეიტანა ყოველი ახალი შე-  
ტანს ადინიშება, როგორც შე-  
ტანის რვეულში, აგრეთვე კასის  
დავითრება. გაჭირვების დროს ფუ-  
ლის პატრონს ყოველთვის შეუ-  
ძლიან გამოიტანოს კასიდგან სუ-  
რვილის დაგვარად ან სულ, რაც

შეუტანია, სარგებლითურთ, ანუ  
რამდენიც უნდა. მართალია, წი-  
გნის მცოდნე კაცს უფრო ად-  
ვილად შეუძლიან ფულის შე-  
ტან-გამოტანა, მაგრამ არც  
თუ უწიგნა კაცისათვის არის გა-  
მწიფებული ეს საქმე. შემნახველი  
კასის ფულის ადგასა და მიცემა-  
ში ძირივე მარად იქცევა. „კა-  
სის მოხვედრა ნება არა აქვთ  
უთნარან ვისმეს, ამასა და ამას ამ-  
დენი და ამდენი შემოტანილი და  
შენახული ფული აქვსო. ამ გზით  
შენახვა ფულისა დიდად საიმე-  
დია, იმითა რომ ფულის პა-  
ტრონის წინაშე სახელმწიფო ხა-  
ზინასა ვასუსის მგებელი.

თუ ახარების რვეული დაეკარ-  
გა ფულის პატრონს, ყოველთვის  
შეუძლიან სხვა მიიღოს, რადგან-  
ც ნაც ამ რვეულის სარგებლად დაგ-  
ვითრება ჩაწერილი; გარეშე კაცს-  
კი არ შეუძლიან სხვისის რვეულით  
ფული გამოიტანოს, რადგანც  
ვერ დაამტკიცებს, რომ მუ-  
რვეულის პატრონია. თუ ფულის  
პატრონს რამე მიზნის გამო არ  
შეუძლიან თითონ მივიღოს ფულის  
გამოსატანად, უნდა ვეძლია  
მისცეს სანდო კაცს, რომელიც  
ისევე ადვილად გამოიტანს, რა-  
გორც თვით ფულის პატრონი.

თუ ფულის პატრონსა მსურს  
იყიდოს ასე დაზოგვილის ფულითა  
სახელმწიფო ბანკის სარგებლი-  
ის ქადაღებები, კასის მმართვე-  
ლობა ვალდებულია უყიდოს ამ  
გვარი ქადაღებები. ვალდებულია  
აგრეთვე შეუნახოს ეს ფისანი ქა-  
დაღებები, თავის დროზე სარგე-  
ბელი გამოიტანოს, და შეტანილ  
ფულს მიუმატოს, რასაკერ-  
ვინა, თუ ფულის პატრონი ისუ-  
რავს და ყოველ ამ საქმეს შემნა-  
ხველ დამზოგველ კასის მმართვე-

ლობას დაავადებს.—ეს განსაკუთ-  
რებული მანათი წიგნის სე-  
ნებულის წიგნისა.

მთელს საქართველოში 47 შე-  
მნახველი კასა დაარსებული სა-  
ხელმწიფო ბანკის მიერ; აქედამ  
19 ქუთაისის გუბერნიისა და 28  
ტფილისის. კასებია დაარსებული  
ტფილისის სახელმწიფო ბანკის  
გარდა ყოველ სამხრეთ ხაზინა-  
ში და ფოსტის კანტონარში.

ეს წიგნები, რომლის მინარ-  
სიც ზემოთ მოვიყვანეთ, დიბეჭდა  
რამდენიმე მილიონი ცალი და  
უსასყიდლოდ დაურთავს მთელ  
რუსეთის მდებარე ხალხს. წიგნ-  
ის დარეგების აზრი ის არის,  
რომ მიიხილოს ბანკი რუსეთის  
ყოველ კუთხიდან ის ფული, რომ-  
ელიც უსარგებლოდ არის აქეთ-  
იქით გავანტული და არავი-  
თის შემუშავება და ტრიალი არ  
არის.

დასასრულ, ვისურვებთ, რომ  
ეს დიდ-ძალი ფული, რომელიც  
მოგროვილია ამ ქადაღ შემნახველ-  
დამზოგველ კასებში და რომე-  
ლიც უნდად მოგროვდება კიდევ  
იავის გრედის მონაწილეობად  
იქმნას მომარბებული სახელმწიფო  
ბანკის მიერ იმავე მდებარე და  
ხელმოკლე ხალხისათვის. სამუ-  
ხარო იქნება, რომ ამ გვარად მო-  
გროვილი ფული გამოიყენოს მდი-  
დანმა ვაჭრებმა, ანუ როგორც  
ვიწვევდასკის დროს იყო, სამ-  
ზღვარ გარეთის ბირებზე და-  
ტრიალდის რუსეთის ქადაღის  
ფულის ფისის ასაწევად.

ნიკ. ვაგისიძე.

## ვალეგონი

სიტოცხლა და სიპოლი  
ეროვნებისა

ფრანგულ ჟურნალ Revue Scien-  
tifique (პ.ნ.პ. 2, 3 და 7) და-  
ბეჭდულია შესანიშნავი გამოკვლევა  
ლენინისა, ამ სათაურით „Le rôle  
du caractère dans la vie des  
peuples“ (ხასიათის განსაკუთრებული  
მნიშვნელობა ერის ცხოვრებაში).  
ფაღრესად ცნობიან ისინი,—ამ-  
ბობს ლენინი, რომელთაც ჰგონიათ,  
რომ, ვითომ, ჰყოლივნებ რომელიმე  
ერის აწყოლა ცხოვრებაში დამოკიდე-  
ბული იყო; იმავე ერის აწინდელ  
წარმომადგენელთა გონებრივ ნაი-  
ქმედარსე. პრიკით ეს განგებრივი  
ნაიქმედებრივი თვითონაც სმით-გარ-  
დასვლით მოვილინება. ეროვნების  
მოქმედების ქვა-კუთხედი არის მისი  
ხასიათი, ე. ი. წყლილი მისთა  
განმარბათა და ლტოლვათა; რომე-  
ნიც განათივებენ მას სხვათა ერო-

ვნებთაგან. ეს გარბობანი და ლტო-  
ლვანი, ასე ვსთქვათ, შეადგენენ ერო-  
ვნების სულს, რომელიც ვანაგებს  
მის მოქმედებათა და მისწრაფებათა.  
სულერი ნიშან-წყალი სხვა-და-სხვა  
ეროვნებისა, თაქიებური მიზათუ-  
ლობა ამ ეროვნებათა სულიერი ნიჭთა  
დიდად განსხვავდება ურთი ერთისა-  
გან; ეს განსხვავება უფრო მეტად  
საფუძველად ჩაიკიდება ტრადიცი-  
ათა განსაწილებლად დარგ დარგად,  
ვიღებ ანატომიურნი და ფიზიკურნი  
განსხვავების მართნი. ხალხი ეროვნე-  
ბად რომ ვაღიქვავ, მის შემდეგ მი-  
სი სულიერი ნიშან-წყალი, საზოგა-  
დოდ, აღარ იცვლება, არაჲდ მას-  
თან შემოხრებულად სივრცობს,  
შარავანდობლად და კვება. დიდად  
ცვალებული არა თითონ ნიშან-წყა-  
ლი, სუბა ეროვნობა, არამედ ზო-  
გიერთი მთიერი ხარისხიანი წყლი-  
ლი ამ ნიშან-წყალისა.  
საზოგადოდ ეროვნება,—განაგარ-  
ბობს ლენინი, შეგვიძლიან განვიგ-  
ოთ ვითარცა ერთი რომელიმე  
მოლიანი კრებული „არსებისა“,

(ცხოვრებას სახითა მრავალთა, ურთი-  
ერთთა მცველ, მოვლათა. ეს „არ-  
სება“ მარტო იმითა არ შესდგება,  
რომელიც დღეს ცხოვრობენ, არა-  
მედ მათ, უკვე დახოცილ, წინაპარ-  
თაგანაც. განსვენებულნი ჩვენნი წი-  
ნაპარნი ცხოვრობენ ჩვენსა, ჩვენს  
მარჯვენსა და ჩვენს ტანში. ჩვენნი  
მოქმედებანი დამოკიდებულია მათ-  
ზე უაღრესად. იგი მკვდარი უფ-  
რებენ მათს ჩვენს არსებაში, ჩვენ  
მერ უხილავ შთამომავლობითი ნიჭი-  
თა გარბობებიც, ლტოლვისა და მისწ-  
რაფებისა შუამდგომლობა,—იმ არსე-  
ლში, სადაც ჩნდებიან ჩვენნი იდე-  
ანი. ამ იდეათ ვსახავთ ჩვენ მიერ  
შემქმნილებად, მაგრამ ნამდვილ-  
იგანი გვცხადებიან ურჩესისა და  
არაულის ზედმოქმედებით შთამომავ-  
ლობის ნიჭისა.  
ჩვენნი მოქმედებას განსაზღვრავს ამ-  
გვარი ზედმოქმედება. ზედმოქმედება  
უახლოეს შთამომავლობის (შშომელ-  
თა), ზედმოქმედება წინაპართა, ზედმო-  
ქმედება იმ წინას, საცა მიმდინარებს აწ-  
ყოლა დროს ჩვენნი ცხოვრება, ჩვეუ-

ლებრივად ჰვიტრობენ, რომ, ვითომ,  
ზედმოქმედება წინას, ე. ი. ბუნებ-  
ისა, ეკონომიურ პირობათა, პოლი-  
ტიკურისა და სოციალურ დამოკი-  
დებულებისა და სხვათა და სხვათა  
მეტად მშლავიერა, მაგრამ ნამდვი-  
ლია, ეს ასე არ არის. წინას  
ზედვალებსა დიდი მნიშვნელობა  
აქვს მხოლოდ ხალხის ეროვნებად  
დასახვად. შერეული გუნდნი და  
ბზბონი, ნაშუსრევი წინადადლოთა  
ეროვნებათა საეროკონო ნიშან-წყალს  
მოკლებულნი, მართლაც რომ ამ თუ  
იმ მიმართულებას ითვისებენ აღი-  
ვობრივ წრის ზედვალებსაგან. მა-  
გრამ როდენდაც საეროკონო სული  
ინსკება, იღწენად ადგილობრივ გა-  
რეობებათა ზედვალებსა სტატება.  
ხოლო როდესაც ეროვნება აღზრ-  
დება და სწულად განვითარდება, მა-  
შინ იგი აღარ ექვემდებარება ამ აღი-  
ვობრივ გარეობებათა ზედვალებსა  
პირ-იქით ცვილობა ეს გარეობება-  
ნი დიმიორჩილის—გამოიყენოს. ამ  
დროს ეროვნება ისე გამოტყებუ-  
ლი, რომ უფრო მოსალოდნელია თა-

ვი თვისი დასაღებად განიწიროს,  
ვიღებ შეიცვალოს, გადბირდეს.  
სწორედ ამ დროს, მკვდარი არიან  
ულოდმელი მუფფნი ცოცხალთა:  
ჩვენ ვიტანჯით მათის შეფთობასა გა-  
მა, ასე ვსტებებთ მათის ქვედმოქმე-  
დებთა.

ეს ხასიათი ეროვნებისა, მისი გო-  
ნებრივი საუწყე შეადგენს ქვა-კუთ-  
ხედს მისი ისტორიისა. ერის სული-  
ერი საუწყის ხასიათისაგან წარმოიშო-  
დება მისი მდიდრეულბა მოსალოდ-  
ნი და ცხოვრებისადმი და, მასხადა-  
მე, მისი უკვა-ქვევად და მისი ის-  
ტორიაც სავსებთ.

ფრიალ სანტერესთა გავიგოთ,  
არის რამე სასაჩი ერის ხასიათის  
შესტყველოდ თუ არა?  
ლენინის თქმით, ერის ხასიათის  
შესტყველოდ მომასწავებელია თვით ერო-  
ვნების დაწოლისა და დაწერვისა. სა-  
კეთილო ზედ-გაგნები ეროვნების ხა-  
სიათაზე ზედვალებსა იმნი, რომ ამ  
თუ მიმართულბა ხასიათისა ერს არ  
შეუტყველო, არამედ აღმზადლო იგი,  
განუცხოველო. ტყუ ლი სასოება,





უკანასკნელი „როსტალის გორდო-  
ნი“. აღიღის გრძობითა დაუტრა ფორ-  
ტოპანონოჲ კ. გ. კერეჩიმეჲ „სერე-  
ნადა“ შუტიერისა. ასე ლაზხანდ თა-  
ვილან ბოლომდე კონკრეტის ჩატა-  
რება ასეთის პატარა ქალაქში სწო-  
რედ, რომ დიდი სასიამოვნოა. ბ-ნი  
ქარილი სწორედ მხედრ შრომანი:  
სწრაფი საკვლესიო გადობებს, ხალ-  
ხურ სიმღერებს, ავრცელებს ყველა  
სწრაფელთა მუხიკალურს ცოდნას.  
ამის შემდეგ იმედი და ვიქირონი,  
რომ ჩვენს პატარა ახალგაზდა დავი-  
ლოზრივ სიღრმის მოყვარებთან  
კვლავ გაიმართება მსგავსი კონკრე-  
ტული და არ იქნება ის კონკრეტული პი-  
რველი და უკანასკნელი.

ოზურგეთი  
მარტი 31.

**მეფის რაზმი, 7 აპრილი.** აქეთ  
მარტში ცუდი ამინდები იყო. ერთ-  
ხანად ისეთი საშინელი ქარი ამო-  
ვარდა, რომ არ გაუშვია ერთი ბო-  
სახელი, რომლისთვისაც ხარალი არ  
მიეცეს: ზოგს სახლები გაურღვია,  
ზოგს ხომლები, ზოგს სასიმინდებიც  
და ბიწე-ლობები წაუტყეოა. ასე  
გასტანა ორს დღეს; შემდეგ წაბო-  
წყვიდა და ქარიჩაღდა, 24 პარტეღან  
დადგამენიერი გაზაფხულის დღეებ-  
ში; შეიქმნა ვენახის მუშობა, გაიმართა  
სახნის-საკვებები, მაგრამ აპრილში მო-  
გვარდნა... აგერ ერთი კვირა ჯერ  
მშტეს არ გამოუხდენია, ძლიერ ცვი-  
და სუსხიანი დღეები დაიკრა. ხალ-  
ხი გოძახის „ნახსენებია“, თუ გუ-  
გულისაა, მაგრამ შეგვრებინათ  
და აღარც ეს ნახსენები და გუგულის  
დღეები გამოილია.

მარტის დამლევიდან ხალხმაც და-  
იწყო დაბრუნება თავის სამშობლო-  
ში, მაგრამ ძლიერ დაღონებულნი  
მოიღიან, რადგან მარტინდელით  
დღეს სქელი ვერ მოაქუთ, მოღიან და  
თან მოიძახიან: „დღი ქესატობა  
იყოვარ“.

ინფლუნცია, როგორც იქნა, გა-  
ვისტურეთ და გელა მშვიდობა ჩვენ  
სოფლებში. სიმინდის სიძვირე-  
მეტად შეაწუხა ხალხი. აქეთ რომ  
ვერსად იზოვას საყვილოთ, გელა  
ტყუილდღიდან დაიწყეს ხიდე, საღაც  
კოდი (თოხი ბაზინი) ექვს აბაზად  
ყვილება; მაგრამ რა ქნას კაცმა,  
რადგან ტანჯვა უნდა გადართას!  
სიმინდს შოულებად იავად, მაგრამ  
გაღმობთან სკურს ნაქარალს მთა-  
ხედ თუ მშვიდობითა გდმოვი-  
და კაცი და ცხენი, ნიჭიერ-წმინ-  
დის ტლახს ეხერ ანიჭობდა და  
იზასც რომ ვადაურჩეს, უსათუოდ  
ამბროლაულის გზაზე კი დასტკეებს  
დიდის შრომით ამოკატანოს სიმინდ.

ამ გზის მარჯვნივ მთებში აქვს  
და მარცხნივ წყლები „ხოტურთა და  
კახილა“, რომლებიც ერთად იკრი-  
ბენ თავს და გადღებენ დროს არ-  
ღვევენ გზას და მიჰქუთ. თითქო ესეც  
არ კმარაოდა ვიღაცის გადმოუყუ-  
ანია შუა გზაზე წყალი და წისკი-  
ლი გაუმართავს; წყალი გადმოღის  
თავის კალაპოტად და დაუქუებს  
უბინოდაც წამხარ გზასა. სდგას  
მწყერი, რომელშიაც უნდა ჩაირჩოს  
საწყალი, მოგზაური, მკრმელ და მის  
აკლდება მოუხერხებელია, როგო-  
რც მოგზაურებისათვის, ასე აქა-  
რც მცხოვრებლებისათვის: ამბრო-  
ლაურში ცხოვრობს მზარის მოკაუ-  
ლი, მომრიგებელი შუამავალი, იქვე  
არის აფთიაქი; ონში თუ გვირად წა-

სვლა; მიწამ ამ გზაზედ უნდა გვი-  
აროთ. როგორც უგზოა და უშო-  
ბრობა გვიღის ხელს, ისე სკო-  
ლების სიმცირე და განთავლები მზ-  
რისი დაქვეითება, მე უარეზემო-რება  
სწავლა-განათლებლაში დიკვიტებუ-  
ლი. მთელს რაჭის მზარში არის 14  
სამინისტრო პირველ დასაწყისი სასწა-  
ვლებელი; ათაში ზემო-რაჭის  
აქვს მხოლოდ 4 სწავლებელი.  
სწავლა-განათლების საქმე უფ-  
რო მაღლა სდგას ქვემო-რაჭაში  
და კიდევ უფრო მაღლა იაწვედა, რომ  
სასწავლებლებს ვაჩვიის ხსენებში ჰქო-  
ნდები, სახელ და საპოსტზე დავი-  
ლოზრივ მიგზობის და კოტა რიკი-  
ნი გვაძვირებოც იყოს დაწესებული  
მასწავლებლებისათვის. მხოლოდ ორ  
სასწავლებელს სადმეღისას და ხენ-  
ქკარისას—აქვს გვიარანი საკუთარი  
სახლები, დანარჩენები ისეთს სახლე-  
შია მოთავსებული რომლებშიაც სივი-  
წროვისა, სიზნელისა და საკმა პი-  
ერის უქონლობის გამო მეტადინეო-  
და გასაქირა. სასწავლებლებს სამი  
ოთხი საყენი მიწა არა აქუთ, რომ  
ბოსტანი გაეკიდნენ. ანუ მოსწავლე-  
ები გამოვიდნენ სასწავლებლიდან  
წმინდა პერხედ. გელა არ იკითხავი  
მასწავლებლების ჯამაგირს? მარტო  
სხვათა სასწავლოლის მასწავლებელი  
იღებს სამს მანეთს; დანარჩენებ-  
ი ორს მანეთს იღებენ წყლიწად-  
ი, თქვენ თითო იფურტო, 16  
მან. და 16 უკადა როგორ უნდა  
იხებოვოს მასწავლებელმა თვეში.  
ზოგიერთა მასწავლებელი კოლმე-  
ლიანიც არის, და ამისთანამ ცოლ-  
შვილისათვის ცოლკე უნდა იქირავოს  
სახლი, რადგან სასწავლებელში ერ-  
თის ოთახის მეტარ არა აქუთ მასწა-  
ვლებლებს.

რაჭაში თუმცა ადგილ-მამულის  
მზრით დიდი სივიწროვია, მაგრამ,  
მოგვსენებთ, რაკველი კაცი შორ-  
მელია, ხელობა იცის ზვერ-გვარი,  
რომილიაც დიდ ფულს შოულობს  
სხვა-და-სხვა ქვეყნებში მუშობლიდა  
ამისთვის არ გაუწყობდება კოტა-ობ-  
ის ფულის გადახდა თავის ცხოვრე-  
ბის გასაუმჯობესებლად. არც ისე  
შეუგუნარია, რომ კეთილი რჩევა არ  
გაუგონავს; საკურა მხოლოდ ყურა-  
დღების მიქცევა, ანუ შეგნებულნი  
და გულ-შემბტკივანი საზოგადო სა-  
ქმისათვის.

**ნარკვევი**

ეურნალ „Истор. Вѣст.“-ში  
არსობა მწერალი ა. კრუპოლოვი გვი-  
ამბობს იმ ტანჯვას, რა ტანჯვაც გა-  
მოიღიანა თავის საღატარატურო  
ასპარეზზედ მოღვაწეობის პირველ  
ხანში. ბ-ნი კრუპოლოვი მოიხარბი-  
ლი აქვს სხვათა შორის ერთი უცნა-  
ური ამბავი, რომელიც ვაზ. „Моск.  
Газ.“ გამოქვეყნებულა და იმის თანა-  
მშრომელს მოსკოლით. აი ეს ამბავი.  
შვიდა თანამშრომელი ამ გაუთვის  
რედაქციაში და გამოქვეყნებულ ფულის  
თხოვნა, დაუწყა.  
გამომცემელმა ხელეში გაასასევა.  
— არ შემოიძინა! არა მაქვს-რა. სა-  
მოდელ მთავარად!  
— მოცდა შეუძლებელია! ვადაწყვე-  
ტილ უნდახს თანამშრომელმა.  
— რა დღეებშიაოთ რატო აგრე ძა-  
ლიან დაგვირდათ დღეს ფული? ნეტ-  
რად ვინადა?  
— იმას მინდა, რომ შალკური არა  
მაქვს.

— შალკური არა მაქვსო? გაუვირდა  
გამომცემელს: მაგას რას ამბობო? შალ-  
კური არ არის, მაშ რა არის ზედ რომ  
დავიტოვო?

— მაკცია, მითხარო, მაგრამ ვერ  
დანიანეო, იმპროვიზო...  
— ისტყებოდ ჯერ განახანარა გა-  
მომცემელმა, მერე უხადს სიტლი შეს-  
წავლა და თავიდან ბოლომდე თვლი  
აფლ-ჩაფლო თავის თანამშრომელს.

— იყო რა, ჩემო კარგო? შესძახა მან  
მზარად: მე და შენ სწორად ერთის  
ტანისად ვყოვილდით.

— თნდა ვერც იყოს, მერე რაო?  
— ისია, რომ ჩემი შალკური წაღუ-  
ეს სამი დღეა, რაც ვიყიდ, სრულიად  
ახლოა.

თანამშრომელმა თავი მოიფანა და  
არ იტოდა რა ვთქვა, მაგრამ გამომცემელ-  
მა დაშუება და დაწერა.  
— მერე თქვენ როგორ უნდა იყოთ  
უშალკორად? ჰოთხან დაფიქრებთ.

— მე სხვა შალკური მაქვს სახლში.  
— კარგი, მაგრამ ესლა როგორ უნ-  
და იღოს შინ ჩემი წაგებო?

— არა მიჭირს-რა, ვთხოვ წამოსას-  
ხანი მაქვს, ფეხებზედ მივარავ. ჩალკური,  
გასწავლე, ღონად კაგად-იქ დადავდეთ  
და ჩემი დარდი ნუ გაქუთ.

გამომცემელმა მარხვედ გაითარა შალ-  
კური, თანამშრომელმა და... სწორად  
აღტყევაში მივიღენ. შალკური ისე  
კარგად დადავდა, რომ თითქოს იმისთვის  
ყოვილოვოს შევიკრიოთ.

სწორად იმ დროს, როდესაც გაუთვის  
გამომცემელი მზარადხედას სტყედა თავ-  
ისი თანამშრომელს სიამოვნების ნიშნად,  
შემვიდა რედაქციის გვირგვინი და მოა-  
ხსენა, რომ ერთი ქალი დავყოფილათ.

— ახ, ახ!, ამ წუთას, ახლავს...  
და უნდადა ვაგებებოდა იმ ქალს...  
უშალკორად, მაგრამ თანამშრომელმა შე-  
აყენა, გამოცემელმა წამოსასხანი მოიხუ-  
რა და ისე გავიდა იმ ქალის სანახავად.

აი, ასეთს პირობებსა და ვითარე-  
ბაში მოვიხიბებოდა ხოლმე ხშირად  
მუშაობა, დასძენს იმ ამბავს კრუ-  
პოლოვი.

**კრუსეთი**

ჩქარა ვადაწყვეტა რუსეთის მცხო-  
ვრებთა საერთო ნუხსის შედგენის  
საქმე. აქამდე ამ საქმეზე ფულის უქონ-  
ლობა აბრკოლებდა: მკვიდრთა სა-  
ერთო დასწერის დიდი ხარჯი უნდა  
და მთავრობას არ შეეძლო აქამდე  
ამ საქმისათვის სჭირო ფული გა-  
დავლა. ამ აჟად ვინაფანა სამინის-  
ტრო აცხადებს, რომ სამინისტროს  
მზივ დაბრკოლება აღარ არის და  
შეგვიძლიან საჭირო ფული გუწილი-  
ლოდ მაგ ფრად სასარგებლო სა-  
ქმესათ. ამ გვირად ეს საქმე იმდ-  
ნად კარგად არის გელა მოწყობილი,  
რომ ამ ახლო ხანებში საზოგადო  
გეგმა მკვიდრთა საერთო აღწერისა  
განსახილველად წარედგინება სამი-  
ნისტროებს. რადგანაც ამისათვის გე-  
როვანს მომზადებებს, წყების შესა-  
მუშავებლად და სხ. დიდი დროა სა-  
ჭირო, ამიტომ უნდა ვივიქროთ,  
რომ მთავრობა მკვიდრთა საერთო  
აღწერის შეუღებვა 1895—1896  
წლების ზამთარში. დაახლოვებითა გა-  
მოანგარიშებულია, რომ ეს აღწერა  
ხუთი მილიონი მანეთი უნდა და-  
ჯდეს.

ვაზ. „Моск. Вѣд.“-ის ღებუთ  
აუწყებულ ჰეტერეობრივდგანა: რათა  
ბოლო მოვლას თურგის ოლქის აღ-  
გილობრივ მკვიდრთა შორის დიდად  
გავრცელებულს ძარკვა-გლეჯვას,  
ძალ-მოძირეობასა და სხვა დანაშაუ-  
ლობათ. სახმედრო სამინისტროც იმ  
აზრის იყო, რომ არა ერთხელ გუ-

მითანილი, შენიშნული, ქერლობასა  
და სხვა დანაშაულში ჯერ ერთი მი-  
ცემული იქმნენ განსაკუთრებულ სა-  
პოლიცოო მეოვალსურეობას ქვეშე  
და, მეორე, ასეთი, თუ პოლიცოო  
მეოვალსურეობას ქვეშე იყოფებინ  
და სხვა-და-სხვა გვიარი დანაშაუ-  
ლი ჩაიდინეს: გაძარკვის ვინ-  
ღე, მომარბეს სავტრული, საზო-  
გადო წესიერება დაარღვიეს, დას-  
ჯილ იქმნენ წყებლით, რომელიც ას-  
ჯილ უნდა დეკრათ, ხოლო შინაგან  
სამქეთა სამინისტრომ ის აზრი გავი-  
სთქვა, რომ ასეთი საშუალება მხო-  
ლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება მი-  
ცემული იქმნას, თუ იგი დამყარებუ-  
ლია ადგილობრივ მკვიდრთა მამა-პა-  
პურის ჩვეულებებზედ და აღმინისტრ-  
აციის მონაწილეობის გარეშე სრულ-  
დება საზოგადო განაჩენის ძალითაო.  
უფრო უკეთესი იქნებოდა, რომ თე-  
რგის ოლქის მკვიდრი იარალი აეყა-  
ბოთ და აღდგარაოთ იმისი ტრადი-  
ცია. სასჯულთა საქმეთა სამინისტრო-  
მაც ასეთი აზრი გამოსთქვა და სრუ-  
ლიად დათანხმა შინაგან საქმეთა სა-  
მინისტროს.

**აჭარა**

(შემდეგნი)

განვავრძობთ იმის ამბავი, თუ რას  
ამბობს ხალხი თავის გამაჰმადიანობის  
გამო. რაკი ძალ-მომარეობითა და სა-  
სტოკობით საინისის ვერას გახდნენ  
საქმეში გამაჰმადიანების საქმეში  
ლიან ჰკუპნით მიდიოდა, ოსმალე-  
თის მთავრობამ ახლა სხვა ღონის-  
ძიების მიზნათა. ეს ღონისძიება იყო  
ტბილი მოქცევა და დაყვანება გრი-  
სია, აღთქმა მრავალ-გვიარის წყალო-  
ბისა, უხვების აქა და საიქიოს, ხონ-  
თქარისა და მამაძისა. შეფხრულდით  
გელის წადილი. აქარაშია შესწყ-  
და სჯულის გამო გამუდმებულ  
ბრძოლა და სისხლის დღრა. რო-  
გორც ამბობენ, იმოდენი სისხლი სა-  
მცხის არც ერთ მზრის ქართველო-  
ბას არა აქვს დღვრილი, რადგინც  
აქარულესს დაუღვრიათ ქვეყნისა  
საქმიანისათვის. ეს ყოველი აქარულმა  
ბეგმა და აღამ იცის და ყოველ ამას  
ისინი თამამად ღაპარაკობენ.

ბეგვის მეკალინობით ოსმალებმა  
აქარულნი გაათარებეს; რასაც და-  
პირდნენ ყველაფერი აღსურულეს;  
მკვიდრებში მღვდლების რიცხვი შე-  
ცვალდა; ვინც თათრობას მიიღებდა,  
იმ მღვდელს ყადობას აძლევდნენ;  
ნელ-ნელა ღაპარაკობდნენ იწყეს ხო-  
ჯებმა შემოსვლა, როგორც ქართუ-  
ლი ენის მცოდნენი, ხალხში მეცა-  
დინეობდნენ მამაძის სარწმუნოების  
განმარტებისა და მკვიდრს სასაქმე-  
ლზედ დამყარებას. პირველ ხანებ-  
ში თათრულს სჯულს ეკვლესიებ-  
ში ასწავლიდნენ და ალოცებდ-  
ნენ, თათრულად. ხალხს ეუბნე-  
ბოდნენ, ჯამებთ ისევ ეკვლესი-  
ბი გვექმნებაო, რადგანაც ესტ  
მღვთის სახლიაო; ამითი უფრო იპი-  
რებდნენ და იმადრებლებდნენ ახალ  
გამაჰმადიანებულ ქართველთ. ხსალ-

ტის ეკვლესიაში, ტბილისაში, იპი-  
ზაში, ხახულისაში, იშხნისაში, ანჩისა  
და პარხალასაში თითქმის ამ დროდამ  
იწყება მამაძის წესით ღოცების  
აღსრულება. პარხალა, ანჩა, იშხნის  
დიდი ტაძარი, ხახულისა და სხვა  
ტაძრების თითო ნაწილი დღევანდ-

ღამდე გაშვებია არას დაშორენილი.  
ხახულის ეკვლესია დღესაც ოსმალე-  
თის საფლობელოა.

ნელ-ნელა გავრცელეს ოსმალი  
თავისებური ზნე-ჩვეულებები და შემო-  
იღეს წეს-წყობილებაცა, დაამკვიდ-  
რეს თავიანთი კონ-მდებლობა და  
მერე დაიწყეს მეკალინობა, რომ აქა-  
რულთათვის შეეჯერებინათ ქართვე-  
ლნი და საქართველოს ხსენება. ოს-  
ტატურის მეკალინობით მალე შეა-  
ჯილ იქმნენ აქარულეს ქართველნი და  
მკაცრ ხნის შემდეგ აქარულნი ქარ-  
თველნი თავიანთ მოძმე ქართველთა  
სისხლის მსმელოდ გარდააქციეს. სა-  
ქმე იქამდის მიადღია, რომ აქარულნი  
იწყეს საქართველოში ემპევილების  
მოკაცება და ოსმალეთში კაგ ფა-  
სად ყიდა. გვიანთა „გათათლო-  
ბა“, ე. ი. ტყევისა და ყუმბის ყიდავა  
გაყრდნა. აქარულნი თავისუფლად გა-  
დმოდიდნენ გურიში, იმერეთში,  
ქართლში და სხვა ადგილებში ყო-  
დულადნენ და იტაცებდნენ გოგო-  
ბიჭებს, გადაყვანდით ოსმალოეთის  
ქართველოში და მერე აქამდე მიე-  
რკვებოდნენ შავი ზღვის ნაპირის  
მდებარე ქალაქებში და ჰყიდნენ. ყო-  
ველად დამღუპველისა და საშუაზარო  
ჩვეულების ამბავი აქარაში დღესაც  
ბეგვას ასთავს; ბეგური დღესაც ცო-  
ცხადიანი არიან მთ შორის, რომელ-  
ნიც ამ სამარცხინო საქმეს მისდევ-  
დებდნენ.

ზ. ზ.

**უცხოეთი**

(შემდეგი იქნება)

**საზრანბაში.** პარლამენტს წვერა  
მაიერ შედგენილი კომისია, რომ-  
ელსაც მინდობილია აქვს გამოიძიოს  
აწინდელი ვითარება საფრანგეთის  
სამხედრო ფლოტისა, ტულონის დე-  
ფეტბო ლოკუმად განაცხადა: ტუ-  
ლონში, ამ საფრანგეთის უმთავრესს  
ნავთსადგურში, არავითარი ღონის-  
ძიების არ არის ანახარი, რომ ფლო-  
ტი უცხად სახმედრო ფესხედ და-  
ყენება შეიძლებოდეს, თუ საჭირო  
შეიქმნას; ნაპირები არ არის გამოგვი-  
რებული და ზღვის სახმედრო საწყო-  
რები დიდი უწყისობაა. აღმობალი  
ვირონი აჯივის მოხსენებაში ჰმოწ-  
მობს, რომ სახმედრო ხომალდების  
ზარბაზნების სროლა შეუძლებელია,  
რადგან საშიშობა თავის გემის მოხე-  
ლეთათვისაო. დასასრულ აღმობალს  
საჭიროდ მიიჩნია, რომ უფრო ზო-  
მიერის სახის სახმედრო ხომალდები  
იყოს აგებული, ერთის სიტყვით სა-  
ფრანგეთის სახმედრო ფლოტი უნდა  
განახლებული.

**იბალი.** ამას წინად „Figaro“-  
ში დაბეჭდილი იყო ფრად საყრატა-  
ლოლა საუბარი ამ გაუთვის კორეს-  
პონდენტისა მეფე ჰუმბერტოსთან  
იტალიისა და საფრანგეთის დამოკი-  
დებულების შესახებ. ამის შესახებ  
ვაზ. „Riforma“ ამბობს, საექცია,  
რომ იტალიის მეფეს ასეთი საუბარი  
ჰქონდეს Figaro-ს თანამშრომელ-  
თანაო, ყველამ უწყისო, ამბობს ეს  
გაუთვის, რომ მეფე საუბრობს ხოლ-  
მე მხოლოდ დიდ დახალციველ  
კაცებთან და უბრალო საგნის შესა-  
ხებ ც კ ფრად თუ დაქუებით იცის  
ღაპარაკი. ამისათვის დასაჯერებელი  
არ არის, რომ ამ საექულუმბოსთვის

\*) იხ. „ივერიკა“, № 75.

ელატიონს მეფე ჰუმბერტოს... იტალიის მეფე შუბრტა ინახულის...

უხარბის წმინდა ანაბაი

ნაგარეა: შტატის სკანონმდებელი... ნაგარეა: შტატის სკანონმდებელი...

გასართობი

აბაბო ეუბნენი, რომელიც ღიღი... აბაბო ეუბნენი, რომელიც ღიღი...

პრინცი გაციონა და შეროგდა აბაბას... პრინცი გაციონა და შეროგდა აბაბას...

ვოლტერს ძალიან უყვარდა და ესამოე... ვოლტერს ძალიან უყვარდა და ესამოე...

წმინდა ანაბაი

თქვენს ზეტეპეულა გავითა იყუ... თქვენს ზეტეპეულა გავითა იყუ...

ჩვენთვის, რომლებსაც შეგუხო... ჩვენთვის, რომლებსაც შეგუხო...

თქვენს გავითა იყუ-74 ნომერში... თქვენს გავითა იყუ-74 ნომერში...

19 მარტს მეგრებისეში წავედა... 19 მარტს მეგრებისეში წავედა...

დეკემბი

3. ბაბუაშვილი. ოფიციალურ და გ... 3. ბაბუაშვილი. ოფიციალურ და გ...

აბინა. საბერძნეთის სხვა-და-სხ... აბინა. საბერძნეთის სხვა-და-სხ...

ნიმარისა უმოსა

ქეთისი—მღვდელს უხარნიველს... ქეთისი—მღვდელს უხარნიველს...

განსვალეხანი

ბირველი კერძი სამკურნალო... ბირველი კერძი სამკურნალო...

სადამოობით: ა. გურგო, 6—7 საათ... სადამოობით: ა. გურგო, 6—7 საათ...

კეთილი სუბი

ოპ-არის ქუჩაზე, სასონ ქ. ბაქა... ოპ-არის ქუჩაზე, სასონ ქ. ბაქა...

Advertisement for 'Krysi i Myshai' (Crisis and Mouse) with an image of a mouse and text in Georgian.

„ივერია“

Table with 2 columns: '12 თვით' and '6 თვით', listing numbers and their corresponding values.

საზღვარ-გარეთ დაბარებული ელტრება... საზღვარ-გარეთ დაბარებული ელტრება...

უასი განსვალეხანის დასაბამად

ა) მოითხე გურგულე თითო ჯურ... ა) მოითხე გურგულე თითო ჯურ...

გერძა ექიმი

პრემიერ-პრეზიდენტი... პრემიერ-პრეზიდენტი...

Advertisement for Maison HERMANN-LACHAPPELLE, J. BOULET & C-ie, featuring a watch image.

განსვალეხანის მომავალი განაგანა

Advertisement for 'Si Fon' (If You) with an image of a person and text in Georgian.

Advertisement for 'Sukh' (Sugar) with an image of a person and text in Georgian.